საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

2800 ლანჩხუთი მ. კოსტავას ქ. №37 ტელ: 0494223005

N 51
30/09/2020

51-07-4-202009301224

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №51
2020 წლის 30 სექტემბერი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი"-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 122-ე მუხლისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქ. N76-ის მიმდებარედ არსებული 10 000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს/კ: 27.06.52.628) ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი"-სთვის (ს/ნ 237079497) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - უსასყიდლო აღნაგობის ფორმით (შემდგომში მასზე ფილიალის მშენებლობის მიზნით, ფილიალის არსებობის, მაგრამ არაუმეტეს 99 წლის ვადით) გადაცემაზე.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი" მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო